ჩუქების სამთვრო ბულა[1]
იერუსალიმის საპატრიარქოსადმი, მთავარ კონსტანტინე ბრინკოვეანუსგან,
რომელიც წარმოდგენილია წმინდა საბას მონასტრის იღუმენის - ანთიმოზის სახით.
ბუქარესტი, 12 დეკემბერი, 1693

წმინდა და ყოვლადწმინდა ქალაქ იერუსალიმს, სადაც მდებარეობს ჩვენი უფლისა და მხსნელის, იესო ქრისტეს საფლავი, და ღირსსა და უნეტარეს მამას ჩვენსას - დოსითეოსს, იერუსალიმის პატრიარქს, ვუძღვნით ღვთისმშობლის მიძინების ამ ტაძარს, რომელიც ქვისგანაა ნაგები და მდებარეობს სოფელ კალინესტიში; ასევე - სახლს მარნითურთ და ბორცვზე შეფენილ 2 ფათომიან[2] ვენახს, რათა გამოიყენოს იგი ბუქარესტის წმინდა საბას მონასტრის წინამძღოლმა მამა ანთიმოზმა, იღუმენმა ტაძრისა, რომელიც ასევე ყოვლადწმინდა საფლავისადმია მიძღვნილი. რაც შეეხება ამ ტაძრისა და მარან-ვენახიანი სახლის შემოსავალს - იგი საძირკვლიდანვე ააშენა პოსტელნიკმა იორგამ, - ვენახიცა და მარნიანი სახლიც, რომელიც სტოლნიკი[3] იორგას დის - ნეკულას ვაჟმა, გეორგიოსმა შეიძინა, მათგან შემოსავალიც იღუმენი ანთიმოსის განმგებლობაში გადავიდეს ერთხელ და სამუდამოდ. რაკიღა სამუდამოდ განისვენეს ზემოხსენებულმა პირებმა, ერისკაცობაში თეოდოროს ვორნიკოსის სახელის მქონე ბერი თეოფანეს გარდა, რომელიც სტოლნიკ იორგას ვაჟი და ნეკულას - მისი დეიდის - ვაჟის გეორგიოსის ბიძაშვილი იყო, - და რაკი სხვა ახლო ნათესავი მათ არ გააჩნიათ, ამიტომ მიტოვებული ტაძრისა და ვენახის შემხედვარე თეოფანემ ჩათვალა, რომ ასე არ უნდა ნადგურდებოდეს ეს ქონება და გადასცა იგი ყოვლადწმინდა საფლავს, როგორც შემწეობა და სიმტკიცე, რათა იყოს მარადიული ხსენება მისი მშობლებისა და დიდება ღმერთისა. ამას ვამტკიცებ მეც, მმართველი, და ამას ვადასტურებ ქაღალდზე, რომელსაც ხელს აწერს ბერი თეოფანე, რომ განადგურების საფრთხის ქვეშ მყოფი ეს [ქონება], ახლა წმინდა საბას საკათედრო ტაძრის იღუმენის ანთიმოზის ხელთაა.

ამიტომაც მე, მმართველი, ამ ოქროს ბულას ვაძლევ მამა ანთიმოზს - იღუმენს, რათა მან წარმართოს ტაძარი და ეს ვენახ-მარნიანი სახლი, წმინდა საფლავის სახელზე, მშვიდობით - ვით საუკუნო შემწეობა და სიმტკიცე.

ლოგოთეტი სტანჩიუ, ბუქარესტი, 12 დეკემბერი 7202 (1693)
თომას კანტაკუზენი, ლოგოთეტი[4].

კომენტარები:

---

[1] დოკუმენტი სახელით „ Ηγεμονικό χρυσόβουλο δωρεάς του ηγεμόνα Κωνσταντίνου Μπρανκοβεάνου προς το Πατριαρχείο Ιεροσολύμων εκπροσωπουμένου από τον καθηγούμενο Άνθιμο της Ι.Μ. Αγίου Σάββα - Βουκουρέστι, 12 Δεκεμβρίου 1693“ . ინახება ეროვნული არქივის კრებულში, *ხელნაწერი N705* [*Condica Marii Logofeții, 1692-1714* (*დიდი ლოგოთეტის დავთარი, 1692-1714*)], ф.22r (გამოუცემელი). ბერძნულიდან თარგმნა თათია მთვარელიძემ.

[2] სიგრძის საზომი ერთეული, უდრის 183 სმ.-ს.

[3] უმაღლესი თანამდებობა შუასაუკუნეების სამეფო კარზე, საქართველოში-მეჭურჭლეთუხუცესი.

[4] ლოგოთეტი (ბერძ. λογοθέτης, რუმ. *logofăt*; სიტყვიდან λόγος - აქ დადგენილება, ბრძანება, ანგარიში და θέτης — განმწესებელი) უმაღლესი ხარისხის ჩინოვნიკი (კანცლერი, სხვ.) მეფის ან საპარიაქრქოს კარზე ბიზანტიაში, მოგვიანებით სხვა აღმოსავლური მართლმადიდებელი ეკლესიების საპატრიარქოებშიც. საეკლესიო კარზე ლოგოთეტი იყო საპატრიარქო ბეჭდის მცველი, კანცელარიისა და არქივის ხელმძღვანელი; ანგარიშვალდებული პატრიარქიის ფინანსურ საქმეებზე, ხშირად იყო საპატრიარქოსთან არსებული სასამართლოს წევრი. ამ ტიტულს სამოქალაქო პირებსაც ანიჭებდნენ. უმაღლესი ხარისხის სამოქალაქო ლოგოთეტი იყო ხაზინის მმართველი.